საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1181 2024 წლის 23 აგვისტო ქ. თბილისი

ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის №1025 განკარგულების შესაბამისად, მიეცეთ უფლება „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის ფარგლებში ჩართულ მუნიციპალიტეტებს, ერთობლივი შესყიდვის ფარგლებში, ამავე პროგრამის ფარგლებში შესასყიდი სამშენებლო მასალების, სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა არაუმეტეს 34 022 100 (ოცდათოთხმეტი მილიონ ოცდაორი ათას ასი) ლარის ფარგლებში განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე